წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ: თემურ ღვინჯილიას

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის, მომხსენებლების სახელი, გვარი,

პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1. ფელიქსი ირემაძე 51001018787
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაგრი
577100029

პეტიცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე

მოსაცდელის მოწყობა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მოსაცდელი შენობა-ნაგებობა, რომლითაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრავი მგზავრები ისარგებლებენ და შეაფარებენ თავს. მოსაცდელი შენობა-ნაგებობის არსებობა აუცილებელია, რადგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არ არის მუნიციპალური ტრანსპორტი, კერძო სამარშრუტო სამგზავრო საშუალებები გადაადგილდებიან საკუთარ ინტერესებზე მორგებული გრაფიკით და მგზავრობის მსურველ ადამიანებს დიდხანს უწევთ ზუგდიდი-წალენჯიხის ცენტრალურ გზაზე ტრანსპორტის ლოდინი. ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არის მუნიციპალური საკუთრების მიწის ფართობი, სადაც შესაძლებელია მოსაცდელი ნაგებობის დადგმა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 86-მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უმოკლეს დროში უზრუნველყოთ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც არის მუნიციპალური საკუთრების მიწის ფართობი 7 კვ.მ-ის ოდენობით, (საკადასტრო კოდი - 47.11.39.020), მგზავრობის მსურველებისთვის თავის შესაფარებლად და მათთვის მცირე კომფორტის შექმნის მიზნით მოსაცდელი შენობა-ნაგებობის დადგმის საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის/მომხსენებლის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
2. პეტიციის მხარდამჭერთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ფელიქსი ირემაძე ფ. ირემაძე

17.07.2019წ.

საქართველო
წალენჯიხის
მუნიციპალიტეტის
საკრებულო

რეგის. № 260
17 07 19